საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2016 წლის 24 თებერვალი
№ 1933 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური
საბჭოს
2022 წლის 4 აგვისტოს
№01-05-04/110 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორია
Theology-History of Georgian Church

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Engineering Economics, Media technologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

თეოლოგიის დოქტორი (Doctor in Theology) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში; პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.
მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.
ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.
დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:
https://gtu.ge/Science/doctorantura.php
პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამა ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

კვლევითი კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში, კერძოდ, 1. საქართველოს ეკლესიის ისტორია, 2. საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები; 3. საქართველოს საეკლესიო სამართალი; 4. ძველი ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენა; 5. ძველი ქართული საეკლესიო კულტურა - ქართული საეკლესიო გალობა, ქართული საეკლესიო არქიტექტურა, ქართული საეკლესიო ფერწერა, ქართული საეკლესიო მწერლობა; 6. საქართველოს ეკლესიის წმინდა მამები (პატროლოგია საქართველოში); 7. სიმბოლიკა საქართველოს ეკლესიაში; 8. ღვთისმსახურების ისტორია საქართველოში; 9. საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია და ა.შ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად.
სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება ეკლესიის ისტორიის დარგში სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს.
სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Orders/
პირველი სემესტრი მოიცავს ოთხ სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, მათ შორის თემატურ სემინარს (სულ 30 კრედიტი)

მეორე სემესტრი მოიცავს 1 სავალდებულო სასწავლო კურსს, პროფესორის ასისტენტობას და ოთხ არჩევით სასწავლო კურსს, საიდანაც დოქტორანტი ირჩევს ორს (სულ 20 კრედიტი).

დოქტორანტი კვლევითი კომპონენტის შესრულებას იწყებს მეორე სემესტრიდან. პროგრამით

გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის ეტაპებია: **კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა და დისერტაციის დასრულება-დაცვა.** კვლევითი კომპონენტის ეტაპების შესრულების რიგითობის დაცვა არის სავალდებულო და თითოეული ეტაპის შესრულება წარმოადგენს შემდგომის წინაპირობას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- სამეცნიერო კვლევების შესრულების უნარების მქონე დოქტორის მომზადება თეოლოგიის - საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა.
- შეძლოს თეოლოგიური მიმართულებების და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების კორელაცია. ეკლესიის ისტორიის წყაროების და წმინდა მამათა მსოფლმხედველობის მეცნიერული გააზრება;
- ეკლესიის ისტორიის დარგში მაღალპროფესიული აკადემიური კადრის მომზადება, რომელთაც შეეძლებათ დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა და სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1.განსაზღვრავს საკვლევ სამეცნიერო პრობლემას და მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს.
2.**აანალიზებს** კვლევის ობიექტთან დაკავშირებულ მულტიდისციპლინურ ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის სფეროში, თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერებას და მის საფუძველზე რელიგიაში მიმდინარე პროცესებს.
3.იყენებს თეოლოგიის კვლევის სფეროში ახალ ანალიტიკურ მეთოდებს და მიდგომებს მეცნიერულ საქმიანობაში; თეოლოგიური ტექსტების სტრუქტურისა და ტიპოლოგიის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას.
4.შეუძლია კვლევითი შედეგების მოპოვება და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა; სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე ახალი ადეკვატური მეთოდოლოგიის შემუშავება; სამეცნიერო იდეის, თეოლოგიური კვლევის სტრატეგიის, თეოლოგიის კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრა და თეოლოგიის დარგში საკვლევი პრობლემის ადეკვატურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული დასკვნით სამეცნიერო დებულებების მიღება.
5.წარმოაჩენს ეკლესიის ისტორიის დარგში მიღებულ ცოდნას მეცნიერულ-არგუმენტირებულად და გარკვევით; თეოლოგიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალ სამეცნიერო იდეებს, ტენდენციების განვითარებისათვის ახალი ცოდნის დაგროვების საჭიროებას.
6.აღიარებს რელიგიური მსოფლმხედველობის დაცვის სფეროში პროფესიული ღირებულებების პოპულარიზაციას; თეოლოგიური მეცნიერების ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიებას და საამისოდ ინოვაციურ მეთოდებს.
7.სწავლებას **წარმართავს** დამოუკიდებლად სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიებით, ინოვაციური ცოდნის მიცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებებით, პრობლემებისა და საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტის ჩართულობა/მონაწილეობის უზრუნველყოფით, მათი შეფასების რელევანტური მეთოდებითა და კრიტერიუმებით.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☐ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული
☒ თემატური სემინარი ☒ დამოუკიდებელი მუშაობა ☒ კონსულტაცია ☒ კვლევითი კომპონენტი
☒ დისერტაციის გაფორმება ☒ დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

სწავლების მეთოდები:
1. **დისკუსია/დებატები**
2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)**
3. **დემონსტრირების;**
4. **ანალიზის;**
5. **სინთეზის;**
6. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;**
7. **წერითი მუშაობის;**
8. **პრაქტიკული;**
9. **ახსნა-განმარტებითი;**
10. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;**
11. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;**
12. **ევრისტიკული მეთოდი;**
13. **შემთხვევების შესწავლა (Case study);**
14. **გონებრივი იერიში (Brain storming)**;
15. **ინდუქციური;**
16. **დედუქციური;**
17. **სიმულაციური, როლური თამაშები.**

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დასაქმების სფერო

თეოლოგიის დოქტორს შესაძლებლობა ეძლევა დასაქმდეს რელიგიის პრობლემატიკით დაინტერესებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და უმაღლეს სკოლებში; შეეძლება იმუშაოს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საპატრიარქოსა და ტელევიზიაში; კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასით, უწყვეტი ინტერნეტით.
სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით.
დამატებითი ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 9

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კომპონენტი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
1	სწავლების მეთოდები	**არ აქვს**	**6**					
2	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	**არ აქვს**	**4**					
3	საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის თეოლოგიური მეთოდები	**არ აქვს**	**5**					
4	თემატური სემინარი		**15**					
5	პროფესორის ასისტენტობა	სწავლების მეთოდები		**10**				
6	არჩევითი სასწავლო კურსები			**10**				
6.1	საეკლესიო ისტორიოგრაფია და საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები და პერიოდიზაცია	**არ აქვს**		**5**				
6.2	შედარებითი ღვთისმეტყველება							
6.3	საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები							
6.4	საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების ანალიზი							
სასწავლო კომპონენტი სემესტრში:			**30**	**20**	--------			
სასწავლო კომპონენტი სულ:			**50**					
კვლევითი კომპონენტი			---					

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკა	პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/125	30	30			2	2	86
2	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/125	15	15			2	4	64
3	HEL10212G1-LS	საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის თეოლოგიური მეთოდები	5/125	30	15			1	2	77
4	HEL10812G1-K	თემატური სემინარი	15/375				30	2	3	340
5	EDU11912G1-R	პროფესორის ასისტენტობა	10/250			75		1	1	173
6.1	HEL10412G1-LS	საეკლესიო ისტორიოგრაფია და საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები და პერიოდიზაცია	5/125	30	15			1	2	77
6.2	HEL10312G1-LS	შედარებითი ღვთისმეტყველება	5/125	30	15			1	2	77
6.3	HEL10512G1-LS	საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები	5/125	30	15			1	2	77
6.4	HEL10612G1-LS	საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების ანალიზი	5/125	30	15			1	2	77

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ლევან მათეშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მიღებულია
ბიზნეს ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
21/12/2015
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
2 აგვისტო, 2022 წელი
ოქმი №74

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი